ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 111

"17" მარტი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ №01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 და 12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ №01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 მარტის №23.312.343 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ არსებული 2572 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობის №1-ის (სტადიონის) (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.301) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 404573323) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე